ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N42/20

ქ. თბილისი ,,24“ დეკემბერი 2020 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის N104 საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი დირექტორის მ/შ ირინა ჟამკოჩიანის სახით და მეორე მხრივ, შპს „ეტალონი-განათლება“, შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის თამარ ტყეშელაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია 2021 წლის 04 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საინფორმაციო სფეროში მომსახურების გაწევა, კერძოდ საინფორმაციო სააგენტო www.Etaloni.ge-ს მიერ შემსყიდველის საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;
1.2. საიტზე www.Etaloni.ge შემსყიდველის სიახლეების - მათ შორის სწავლების (დისტანციური, დასწრებითი ან/და ჰიბრიდული მოდელით), ღონისძიებების, შეხვედრების, კონფერენციების, ინტერვიუების, ონლაინ და დისტანციური აქტივობების და სხვა - გაშუქება, როგორც წინმსწრები, ასევე შემდგომი ინფორმაცია (შემსყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ფოტო-ვიდეო მასალა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში - განუსაზღვრელი რაოდენობით;
1.3. შემსყიდველის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თემებზე ინტერვიუების და კომენტარების მომზადება და საიტზე www.Etaloni.ge განთავსება (მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმებით), ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში არაუმეტეს 12 (თორმეტი) ერთეულისა;
1.4. „შემსყიდველის“ თითოეული მოსწავლისთვის ინოვაციური საგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმა www.izrune.ge-ს საბაზო პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა, განსაკუთრებული პირობებით;
1.5. აღნიშნული მომსახურების ღირებულებას შემსყიდველი აანაზღაურებს იმ მოცულობით და პირობებით, რაც მოცემულია აღნიშნულ ხელშეკრულებაში;
1.6. კლასიფიკატორის (CPV) კოდი 92400000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება 216.00 (ორას თექვსმეტი) ლარით.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება იყოფა სამ ნაწილად:
3.2.1. პირველი ნაწილი - 63 (სამოცდასამი) ლარი;
3.2.2. მეორე ნაწილი - 72 (სამოცდათორმეტი) ლარი;
3.2.3. მესამე ნაწილი - 81 (ოთხმოცდაერთი) ლარი.
3.3. ხელშეკრულების მომსახურება მოიცავს შემდეგ პერიოდებს:

3.3.1. ხელშეკრულების პირველი ნაწილი მოიცავს მომსახურების პერიოდს 2021 წლის 04 იანვრიდან 2021 წლის 15 აპრილის ჩათვლით;
3.3.2. ხელშეკრულების მეორე ნაწილი მოიცავს მომსახურების პერიოდს 2021 წლის 16 აპრილიდან 2021 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით;
3.3.3. ხელშეკრულების მესამე ნაწილი მოიცავს მომსახურების პერიოდს 2021 წლის 16 აგვისტოდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.4. „შემსყიდველისთვის" ელექტრონული სახით მიწოდებული იქნება შესაბამისი პერიოდის მიღება-ჩაბარების აქტი:
3.4.1 პირველი პერიოდის მიღება-ჩაბარების აქტი - 2021 წლის 16 აპრილიდან;
3.4.2. მეორე პერიოდის მიღება-ჩაბარების აქტი - 2021 წლის 16 აგვისტოდან;
3.4.3. მესამე პერიოდის მიღება-ჩაბარების აქტი - 2021 წლის 16 დეკემბრიდან.
3.5. მესამე პერიოდის მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.6. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება შემდეგი გრაფიკით:
3.6.1. პირველი ნაწილის, 63 (სამოცდასამი) ლარი, გადახდა მოხდება არაუგვიანეს 2021 წლის 30 აპრილს;
3.6.2. მეორე ნაწილის, 72 (სამოცდათორმეტი) ლარი, გადახდა მოხდება არაუგვიანეს 2021 წლის 31 აგვისტოს;
3.6.3. მესამე ნაწილის, 81 (ოთხმოცდაერთი) ლარი, გადახდა მოხდება არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბერს;
3.7. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.5. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს მიმწოდებელს მომსახურების შესასრულებლად საჭირო ყველა სიახლე/ინფორმაცია იმ ვადებში, რაც საშუალებას იძლევა შესრულებულ იქნას მომსახურება;
ბ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
გ) მოახდინოს მიმწოდებლის ინფორმირება ხელმძღვანელი პირის ან/და ხელშეკრულების მომსახურების შესრულებაში ჩართული ნებისმიერი პირ(ებ)ის, ასევე სტრუქტურული თუ სხვა სახის ცვლილებების შესახებ, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ხელშეკრულების შესრულებაზე.
4.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საიტზე განთავსებამდე მოახდინოს ტექსტის (მათ შორის სათაურის) კორექტირება ან/და რედაქტირება;
გ) არ განათავსოს ვებ-გვერდზე შემსყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს არაკორექტულ, არაეთიკურ, ან/და შეურაცხმყოფელ ინფორმაციას; იქნება მცდარი ან დაარღვევს მესამე პირის უფლებებს.
დ) თემის აქტუალურობიდან ან/და სარედაქციო შეხედულებიდან გამომდინარე წინასწარი შეთანხმების გარეშე მოამზადოს და განათავსოს შემსყიდველთან, მის საქმიანობასთან ან/და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ თემაზე ან/და დასაქმებულ ნებისმიერ პირთან დაკავშირებული მასალა/ინფორმაცია.
ე) აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით გააფორმოს ხელშეკრულება მესამე პირებთან.
4.7. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
ბ) გააფრთხილოს შემსყიდველი, როდესაც არსებობს მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის მომსახურების გაწევის შესრულებას;
4.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესასრულებლად საჭირო ყველა სახის მასალის (სიახლე/ინფორმაცია, ფოტო-ვიდეო მასალა) მიწოდებაზე ცალსახა და სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს. მასალის მიუწოდებლობა არ ათავისუფლებს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
4.9. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის მიწოდებული სიახლე/ინფორმაცია ან/და მასალა არ უნდა იყოს დატვირთული მესამე პირ(ებ)ის უფლებებით.
4.10. მოიპოვოს ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა იმ პირებისგან, რომელთა თანხმობაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასალის გამოქვეყნებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ მომწოდებელი ან შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარე მას წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის, ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ მხარემ უნდა მიმართოს წერილობით მეორე მხარეს მინიმუმ ორი კვირით ადრე.
5.4. ხელშეკრულება მხარეთა შორის შეწყვეტილად ითვლება რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი მიმართვის თარიღიდან 14 კალენდარული დღის შემდგომ.
5.5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან/და ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღის ჩათვლით.
5.6. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

6.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ან იკლებს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ან მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
8.2 ფორს-მაჟორული პირობების დადგენა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. კონფიდენციალურობა

10.1. მხარეები ვალდებულნი არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნონ ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცენ კონფიდენციალური ინფორმაცია.
10.2. კონფიდენციალურ ინფორმაციას არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე შესაძლებელია გახდეს საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის მესაკუთრე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და მხარეთა შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

11. სხვა პირობები

11.1 შემსყიდველი მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მასალის (ინფორმაცია, ფოტო-ვიდეო მასალა) მიწოდების ინსტრუქციას ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე მიიღებს წერილობით ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე და ასევე, სიტყვიერი კომუნიკაციით მიმწოდებლის შესაბამისი წარმომადგენლისგან.
11.2 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ელ. ფოსტა მხარეებისთვის წარმოადგენს ოფიციალური მიმოწერის და ინფორმაციის მიწოდების ელექტრონულ მისამართს.

11.3. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველის მიერ მოწოდებული მასალის შინაარსზე, სრული მასალის ან/და მისი რომელიმე ნაწილის სინამდვილეზე, სისწორეზე, გონივრულობაზე, სანდოობაზე ან სისრულეზე.
11.4. მიმწოდებელი მოქმედებს თავისუფალი მასმედიის პრინციპებით და ემსახურება საგანმანათლებლო-შემეცნებითი სფეროს, სასკოლო ცხოვრებისა და აქტივობების გააქტიურება-პოპულარიზაციას და განვითარების ხელშეწყობას. საიტი ხელმძღვანელობს აზრის თავისუფალი გამოხატვის პრინციპით, რაც გულისხმობს: ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტის უფლებას, ინფორმაციის წყაროს საიდუმლოობის დაცვასა და დამოუკიდებელი სარედაქციო გადაწყვეტილებების მიღებას.
11.5. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.6. მხარეებისთვის ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტის სახით ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა ან/და დამატება შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი, ხელშეკრულების დანართის სახით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.
11.8. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ ქალაქ თბილისის N104 საჯარო სკოლა
ს/კ 204422687
ელ. ფოსტა: tbilisi104@mes.gov.ge
მისამართი: ათონელის ქ. N5

დირექტორის მ/შ

/ირინა ჟამკოჩიანი/

მიმწოდებელი

შპს „ეტალონი-განათლება“
ს/კ 404561979
ელ. ფოსტა: etaloniganatleba@etaloni.ge
ფაქტიური მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზირი N116, დიდუბე პლაზა, ოფისი N203
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE82TB7994636080100007

დირექტორი

/თ. ტყეშელაშვილი/

LTD „ETALONI-GANATLEBA“

Digitally signed by LTD „ETALONI-GANATLEBA“
Date: 2020.12.24 13:14:06 +04'00'